საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №46
2019 წლის 21 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

,,სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ფ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ემბლემები (დანართი №1);

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის დროშები (დანართი №2).

მუხლი 2

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ემბლემების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №138 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ემბლემა

აღწერილობა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე ცენტრში გამოსახულია ვერცხლის მოტივტივე ჰერალდიკური ხუთჯვრიანი კომპოზიცია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით.

გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,საქართველო“.

ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „თავდაცვის სამინისტრო“.

წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი, ე.წ. „ხაკი“ - მწვანე ფერით.

ვერცხლის ჰერალდიკური ხუთჯვრიანი კომპოზიცია, წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
შავი ფერის კოდი: N 201E1E

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ემბლემა

აღწერილობა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ველი სევადი (შავი) ფერია.

ცენტრში გამოსახულია ოქროსხალთიან ვერცხლის სეკირაზე გადაჯვარედინებული ვერცხლის ორი დაბლა დაშვებული ორლესული ხმალი ოქროს ტარით.

ცენტრში მოთავსებულია ფარაკი (მცირე ფარი), რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ხუთჯვრიანი კომპოზიცია.

ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის სამინისტრო“. ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „გენერალური ინსპექცია“.

წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის სევადი (შავი), არშიის და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით, ე.წ. „ხაკი“.

ფარაკზე ვერცხლის ჰერალდიკური ხუთჯვრიანი კომპოზიცია, წარწერები, წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები და საგერბე გამოსახულება იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
შავი ფერის კოდი: N 201E1E
ოქროს ფერის კოდი: N D2AE6D

საქართველოს თავდაცვის ძალების ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ზურმუხტის ველზე ცენტრში გამოსახულია ვერცხლის მცირე არშიაში ჩასმული ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი და ოთხი ვერცხლის მცირე ჯვარი. ცენტრში მცირე ჰერალდიკურ ფარზე, ძოწისფერ ველზე გამოსახულია გადაჯვარედინებული ქვევიდან ზევით, მარცხნიდან მარჯვნივ აღმართული ვერცხლის ხმალი და დაშვებული, მარცხნიდან მარჯვნივ ვერცხლის შურდული. გარს შემოუყვება ზურმუხტის არშია და შემცირებული ვერცხლის არშია, რომელზედაც არის ვერცხლის წარწერა: „საქართველო“ და „თავდაცვის ძალები“, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ზურმუხტი (მწვანე) ველი და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი ე.წ. „ხაკი“ - მწვანე ფერით.
ვერცხლის ჰერალდიკური ხუთჯვრიანი კომპოზიცია, შურდული, ხმალი, წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ემბლემა

აღწერილობა:

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ზურმუხტის ველზე გამოსახულია ვერცხლის მცირე არშიაში (წრეში) ჩასმული ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი.

ცენტრში ჰერალდიკურ მცირე ფარზე, ძოწისფერ ველზე გამოსახულია გადაჯვარედინებული დავითის ვერცხლის შურდული და ხმალი.

ფარაკის უკან მოთავსებულია ვერცხლის ოქროს ტარიანი, ორი გადაჯვარედინებული ზემოთ აღმართული ორლესული ხმალი ოქროს გარდით.

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით.

გარე და შიდა არშიებს შორის ზურმუხტის (მწვანე) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის ძალები“.

ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა - „გენერალური შტაბი“. წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ზურმუხტი (მწვანე) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით ე.წ. „ხაკი“.

ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი, ვერცხლის ოქროსტარიანი ხმლები და ფარაკის ხმალი, შურდული, წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447
ოქროს ფერის კოდი: N D4AF37

საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის ემბლემა წარმოადგენს მცირედ კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარის ზურმუხტის (მწვანე) ველზე გამოსახულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით (მცირე ფარი), რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია ქართული ასომთავრული ასო „ა“.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ზურმუხტი (მწვანე) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით, ე.წ. „ხაკი“.
ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი და ვერცხლის ასომთავრული ასონიშანი იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447

საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის ემბლემა წარმოადგენს მცირედ კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარის ზურმუხტის (მწვანე) ველზე გამოსახულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით (მცირე ფარი), რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია ქართული ასომთავრული ასო „დ“.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ზურმუხტი (მწვანე) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით, ე.წ. „ხაკი“.
ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი და ვერცხლის ასომთავრული ასონიშანი იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447

საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ემბლემა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ემბლემა წარმოადგენს მცირე კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარის ცენტრში ლაზურის (ლურჯ) ველზე განთავსებულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით (მცირე ფარი), რომლის ზედა ნაწილში ლაზურის (ლურჯ) ველზე განთავსებულია ჰერალდიკური ვერცხლის ფრთები, ხოლო ქვედა ნაწილში ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია ზემოთ მიმართული ვერცხლის მშვილდ-ისარი.



საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ლაზური (ლურჯი) და ფარაკის ლაზური (ლურჯი) ველი, ასევე მშვილდ-ისარი იცვლება დამცავი მწვანე ფერით ე.წ. „ხაკი“.
ფარაკის ვერცხლის ჰერალდიკური ფრთები და ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ოქროს ფერის კოდი: N D4AF37
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ემბლემა წარმოადგენს მცირე კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარის ზურმუხტის (მწვანე) ველზე გამოსახულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით (მცირე ფარი), რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია გელათის აკადემიის კარიბჭის სიმბოლო „წიგნი“, ცენტრში ოქროს ბოლნური ჯვრით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ზურმუხტი (მწვანე) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით ე.წ. „ხაკი“.
ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარი, ვერცხლის გელათის კარიბჭის სიმბოლო და ოქროს ბოლნური ჯვარი იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447
ოქროს ფერის კოდი: N D4AF37

საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ემბლემა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ემბლემა წარმოადგენს მცირედ კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარი ოთხ თანაბარ ნაწილადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი, რომლის პირველი და მეოთხე მეოთხედი ოქროს (ყვითელი), ხოლო მეორე და მესამე მეოთხედები ზურმუხტის (მწვანე) ფერია.
ფარის ველზე გამოსახულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით (მცირე ფარი), რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია ვერცხლის ხრახნი გადაჯვარედინებული ვერცხლის ორი ქვემეხითა და აღმართული ვერცხლის ხმლით.



საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ოქრო (ყვითელი) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი, ფარის პირველ და მეოთხე მეოთხედებში განთავსებული ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარის ნაწილები იცვლება დამცავი მწვანე ფერით ე.წ. „ხაკი“.
ფარის ზურმუხტი (მწვანე), ფარის მეორე და მესამე მეოთხედებში განთავსებული ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარის ნაწილები და ფარაკის საგერბე გამოსახულება იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447
ყვითელი ფერის კოდი: N 007447

საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების ემბლემა წარმოადგენს მცირედ კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარის ცენტრში ზურმუხტ (მწვანე) ველზე ჰორიზონტალურად განთავსებულია ვერცხლის ჰერალდიკური გაშლილი ფრთები.
ფრთებზე ზემოდან განთავსებულია ვერცხლის ზეაღმართულ ორლესულ ხმალზე ერთმანეთზე დიაგონალურად გადაჯვარედინებული ვერცხლის ისარი და ვერცხლის სამკაპი, ისრისმაგვარი ფრთიანი დაბოლოებით.
ფარის ცენტრში მოთავსებულია მცირე ჰერალდიკური ფარაკი ძოწისფერი (წითელი) ველით. ფარაკზე მოთავსებულია მოტივტივე ვერცხლის (თეთრი) ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ზურმუხტი (მწვანე) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით, ე.წ. „ხაკი“.
ვერცხლის ფრთები, ისარი, სამკაპი, ხმალი და ფარაკის საგერბე გამოსახულება იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ემბლემა წარმოადგენს მცირედ კონუსისებრ ჰერალდიკურ ფარს.
ფარი ოთხ თანაბარ ნაწილადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი, რომლის პირველი და მეოთხე მეოთხედი ძოწის (წითელი), ხოლო მეორე და მესამე მეოთხედები ლაზურის (ლურჯი) ფერია.
ფარის ველზე გამოსახულია ე.წ. მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ბოლნური ჯვარი გულზე ფარაკით (მცირე ფარი), რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე განთავსებულია ვერცხლის (თეთრი) მხედარი - „თეთრი გიორგი“ ვერცხლის შუბით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ლაზური (ლურჯი) და ფარაკის ძოწისფერი (წითელი) ველი, ფარის პირველ და მეოთხე მეოთხედებში განთავსებული ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარის ნაწილები იცვლება დამცავი მწვანე ფერით ე.წ. „ხაკი“.
ფარის ძოწისფერი (წითელი), ფარის მეორე და მესამე მეოთხედებში განთავსებული ვერცხლის ჰერალდიკური ჯვარის ნაწილები და ფარაკის საგერბე გამოსახულება ვერცხლის მხედარი იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ემბლემა

აღწერილობა:

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ლაზურ (ლურჯ) ველზე ცენტრში გამოსახულია მოტივტივე ვერცხლის ჰერალდიკური ფრთებგაშლილი აღჭურვილი ბუ.
ველის ზედა ნაწილში დატანილია ვერცხლის მკლავებგაფართოებული, ე.წ. ბოლნური ჯვარი, ხოლო ქვედა ნაწილში გადაჯვარედინებული ვერცხლის გასაღები და ვერცხლის ისარი.
სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ზურმუხტის (მწვანე) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის ძალები".
ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი".
წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ლაზური (ლურჯი) და არშიის ზურმუხტი (მწვანე) ველი იცვლება დამცავი მწვანე ფერით, ე.წ. „ხაკი".
ვერცხლის ჯვარი, ბუ, გასაღები, ისარი, ვერცხლის წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447
ოქროს ფერის კოდი: N D4AF37
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ემბლემა

აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ველი გაყოფილია ვერტიკალურად ორ ნაწილად – ჰერალდიკური მარჯვენა ნახევარი ძოწის (წითელი) ფერია, ხოლო ჰერალდიკური მარცხენა ნახევარი სევადი (შავი) ფერია.
ცენტრში გამოსახულია გადაჯვარედინებული ვერცხლის ორი დამბაჩა და ვერცხლის ოქროსტარიანი, დაშვებული ორლესული ხმალი.
ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ზურმუხტის (მწვანე) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის ძალები”, ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი“.
წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ძოწის (წითელი), არშიის ზურმუხტის (მწვანე) ფერი, ფარის მარცხენა ნახევარში განთავსებული ვერცხლის ოქროსტარიანი ხმალი და ვერცხლის დამბაჩების ნაწილები იცვლება დამცავი ფერით, ე.წ. „ხაკი“.
ფარის სევადის (შავი), ფარის მარჯვენა ნახევარში განთავსებული ვერცხლის ოქროსტარიანი ხმალი და ვერცხლის დამბაჩების ნაწილები, წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447
ოქროს ფერის კოდი: N D4AF37
შავი ფერის კოდი: N 201E1E

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ემბლემა

აღწერილობა:
სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ძოწისფერ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ე.წ. ბოლნური ჯვრით.
ემბლემის ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი ძოწისფერი (წითელი) ველით და მოტივტივე ვერცხლის გელათის აკადემიის წიგნით, გულში შვიდქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავით.
ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის სამინისტრო". ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია".
წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ძოწის (წითელი) ფერი იცვლება დამცავი ფერით, ე.წ. „ხაკი".
ვერცხლის ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ემბლემის ცენტრში მოთავსებული გელათის აკადემიის წიგნი, გულში შვიდქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავით, წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N F0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
მწვანე ფერის კოდი: N 007447

სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის
კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ემბლემა

აღწერილობა:
სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ლაზურ (ლურჯ) ველზე გამოსახულია ვერცხლის გელათის აკადემიის წიგნი, გულში შვიდქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავით.
ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის სამინისტრო", ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „კადეტთა სამხედრო ლიცეუმი".
წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

საველე ფორმის შევრონისთვის ფარის ძოწის (წითელი) და ლაზური (ლურჯი) ფერი იცვლება დამცავი ფერით, ე.წ. „ხაკი".
ვერცხლის გელათის აკადემიის წიგნი, გულში შვიდქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავით, წარწერები და წარწერების გამმიჯნავი ვერცხლის 7-ქიმიანი ვარსკვლავები იცვლება სევადით (შავი ფერი) და სრულდება აბრეშუმის შავი ნაქარგით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის ემბლემა

აღწერილობა:
სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ლაზურ (ლურჯი) ველზე გამოსახულია ვერცხლის ორი სწორკუთხა ჯვრის გადაჭდობით მიღებული რვა მკლავიანი გადაუდებელი დახმარების ჰერალდიკური სიმბოლო, რომელზეც ზემოდან დევს ლაზური (ლურჯი) ასკლეპიოსის კვერთხი გველით – მედიცინის სიმბოლო.
ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის სამინისტრო". ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „სამხედრო ჰოსპიტალი".
წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიუროს ემბლემა

აღწერილობა:

სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიუროს ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ველი გაყოფილია ვერტიკალურად ორ ნაწილად – ჰერალდიკური მარჯვენა ნახევარი ლაჟური (ლურჯი) ფერია, ხოლო ჰერალდიკური მარცხენა ნახევარი ძოწის (წითელი) ფერია.

ჰერალდიკურ მარჯვენა ნახევარში ლურჯ ველზე გამოსახულია გაერთიანებული ვერცხლის ე.წ. ელექტრონული პლატა და გლობუსის (დედამიწის) მეოთხედი საგასაღებო ჭრილით.

ჰერალდიკურ მარცხენა ნახევარში ძოწის (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის ხუთჯვრიანი კომპოზიციის ნახევარი.

ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის სამინისტრო". ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „კიბერუსაფრთხოების ბიურო".

წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ემბლემა

აღწერილობა:

სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის (თეთრ) ველზე მოთავსებულია სტილიზებული ლაზური (ლურჯი) ფარაკი სახურავით.

ფარაკზე განთავსებულია ვერცხლის ოთხი კაპიტელიანი სვეტი, ხოლო მის ზედა ნაწილში საქართველოს ვერცხლის (თეთრი) გეოგრაფიული კონტური.

ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – ,,თავდაცვის სამინისტრო", ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა – „ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა".

წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ დელტას ემბლემა

აღწერილობა:
სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ დელტას ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ველი გაყოფილია ვერტიკალურად ორ ნაწილად – ჰერალდიკური მარჯვენა ნახევარი ვერცხლის (თეთრი) ფერია, ხოლო ჰერალდიკური მარცხენა ნახევარი ლაზური (ლურჯი) ფერია.
ფარის ველზე დატანილია ველის ფერთა საპირისპირო ლურჯ-თეთრი აბრევიატურა (ლათინური ასო ნიშნების კომპოზიცია) – „დელტა“.
ემბლემა გარედან შემოსაზღვრულია ვერცხლის დიდი არშიით. გარე და შიდა არშიებს შორის ძოწისფერ (წითელ) ველზე, ზედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა - ,,თავდაცვის სამინისტრო”, ემბლემის ქვედა ნახევარში განთავსებულია ვერცხლის წარწერა - „სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა“.
წარწერები გამოყოფილია ერთმანეთისგან ორი ვერცხლის შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

საქართველოს თავდაცვის ძალების დროშა

აღწერილობა:

საქართველოს თავდაცვის ძალების დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი (ვერცხლი) ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის). კუთხეებში გამოსახულია ოთხი თეთრი (ვერცხლი) ფერის სტილიზებული ჯვარი (ბოლნურ-კაცხური) ზომით – დროშის სიმაღლის 1/5.

ჯვრის ცენტრში გამოსახულია ნორმანული ფარი ზომით – დროშის სიმაღლის 1/3, ზემოდან ოქროს ივერიული გვირგვინით, რომლის ძოწისფერ ველზე გამოსახულია გადაჯვარედინებული ოქროს ხმალი და ოქროს „დავითის შურდული“.



120სმX180სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ოქროს ფერის კოდი: N D4AF37

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი (ვერცხლი) ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის). კუთხეებში გამოსახულია ოთხი თეთრი (ვერცხლი) ფერის სტილიზებული ჯვარი (ბოლნურ-კაცხური) ზომით – დროშის სიმაღლის 1/5.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ.გიორგის).
დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია თეთრი ასომთავრული „ა“ ზომით – დროშის სიმაღლის 1/3.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის).
დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია თეთრი ასომთავრული „დ“ ზომით – დროშის სიმაღლის 1/3.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის დროშა წარმოადგენს მართკუთხა თეთრ ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული ძოწისფერი (წითელი) ჯვარი – წმ. გიორგის სიმბოლური გამოსახულება, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის), ჯვრის გარშემო მარჯვნიდან მარცხნივ გამოსახულია ოთხი ლურჯი სამკუთხედი (ნახევარკანტონი – მოძრაობის სიმბოლური გამოსახულება).
დროშის ზედა მარჯვენა ნაწილზე გამოსახულია ემბლემის ფარაკი სრული სახით.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ.გიორგის).
დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია თეთრი ორნამენტი განათლების სიმბოლო გელათის აკადემიიდან, შუაში ვერცხლისფერი ბოლნური ჯვარით – ზომით – დროშის სიმაღლის 1/3.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის).
დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია თეთრი ემბლემა: ცენტრში ერთმანეთს კვეთს, აღმართული ხმალი, ოქროს ორი ზარბაზანი და კბილანა.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი ჯვარი, სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის).

დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია საგერბე გამოსახულება ვერცხლით (თეთრი ფერით).



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის დროშა



აღწერილობა:
საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული თეთრი (ვერცხლი) ჯვარი სისქით დროშის სიმაღლის 1/5 (სიმბოლურად გამოხატავს წმ. გიორგის).
პირველი და მეოთხე მეოთხედი არის ძოწისფერი (წითელი).
მეორე და მესამე მეოთხედი არის ლურჯი ფერის – სიმბოლურად გამოხატავს თავდაცვის ძალების სახეობების ერთიანობას.
დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია თეთრი ემბლება – მხედარი (თეთრი გიორგი) ზომით – დროშის სიმაღლის 1/3.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დროშა

აღწერილობა:
სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ჰერალდიკურ მარჯვენა ნახევრის ზედა ნაწილში განთავსებულია საგერბე გამოსახულება დიამეტრით დროშის 1/1 წილობრივი პროპორციით.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N FF0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დროშა

აღწერილობა:
სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ძოწისფერ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ჰერალდიკურ მარჯვენა ნახევრის ზედა ნაწილში განთავსებულია საგერბე გამოსახულება დიამეტრით დროშის 1/1 წილობრივი პროპორციით.



100სმX150სმ

წითელი ფერის კოდი: N F0000
თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF

სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დროშა

აღწერილობა:
სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დროშა წარმოადგენს მართკუთხა ლურჯი ფერის ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ჰერალდიკურ მარჯვენა ნახევრის ზედა ნაწილში განთავსებულია საგერბე გამოსახულება დიამეტრით დროშის 1/1 წილობრივი პროპორციით.



100სმX150სმ

თეთრი ფერის კოდი: N FFFFFF
ლურჯი ფერის კოდი: N 003399